

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მურან ბაკონის სახლში...  
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში...  
«დროების» ფასი  
თბილისის წიგნის... 9 მან. სანის თვისა... 3 მან.  
ქუთაისის თვისა... 5 მან. ერთის თვისა... 1 მან.

# დროება

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება უროთელს, რუსულს და სხვა ენებზე...  
თუ საქართვებამთიანობის, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლეს დასაბუთებლად გამოგზავნილ წერილებს. დაუბუფად წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ვეცოტს.  
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკა

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

მიიღება ხელის-მოწერა ცა-  
სეთ  
**„დროებაზე“**  
პირველის აგვისტოდამ წლის  
დამლევამდე. ფასი ოთხი მანათი.  
სოფლის მასწავლებლებისა-  
თვის სამი მანათი.  
«დროების» ნომრები თითო  
შაურად იყიდება, თბილისს გარდა:  
ქუთაისში, ჭილაძის მაღა-  
ზიაში,  
ბათუმში, ფეიქროვის თამ-  
ბაქოს მაღაზიაში,  
დუშეთში, ცაბო ბაშროვ-  
თან.  
გორში, საზოგადოების დე-  
პოში, ალაღო თუთაყვთან.  
აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## სტუდენტები

(ქრდილოეთის საავტონომიო.)

29 ივლისს.

**კამბარაშვილი.** მმართველობისა-  
გან გამოცხადებულია: ასაცილებ-  
ლად უსაფუძვლო მიწისა, რომე-  
ლიც შეიძლება ადვილად ხალხ-  
რის გაჩენაზე ტყუილის ნებების  
გავრცელებით და დაუფარველო-  
ბისათვის პირველსავე შემთხვევა-  
ში აზიურის ხალხრის გაჩენისა,

«დროების» ტელეგრაფი, 31 ივლისი.

**გაზეთი „დროება“ და სარგანი მესხი.**

თითქმის გაზეთს დაარსებამდე  
ეს ორი სახელი ერთად იხსენიებოდა,  
ერთად იბეჭდებოდა. მალა, როდესაც  
ის კაცი აღარ არის, რომელიც სერ-  
გეი მესხის სახელს ატარებდა, რო-  
დესაც გაზეთმა დაჰკარგა თავის ლა-  
ლა, თოთხმეტის წლის განმავლობა-  
ში თავის სულის ჩამდგმელი, არ იქ-  
ნება უღროლო გავისხენოთ ამ გაზე-  
თის თავგადასავალი და თან გადა-  
ვთავალიეროთ იმ კაცის ცხოვრებაც,  
რომელმაც თავისი თავი ზედ შეაკლა  
მას.

4 მარტს 1866 წელს გამოვიდა  
პირველი ნომერი «დროებისა» მ. წე-  
რეთლის რედაქტორობით. ეს ნომე-  
რი კარგა მორღობი იყო: ტელეგრაფს  
თავის ალაგი ეჭირა, მოწინავე წე-  
რილს თავისი, დანარჩენი ნომერი  
დაეპყრო პოლიტიკას, დაგვიანებულ  
ტელეგრაფებს და მთავრობის განკარ-  
გულებას. პირველ მოწინავე წერილ-

მინაგან საქმეთა მინისტრმა საჭი-  
როდ იცნა მიღებულ იქმნას შემ-  
დეგი ნომები იმ ადგილებში,  
რომელთაც უფრო უნდა ემინო-  
დეთ ეგვიპტიდამ ხოლერის შე-  
მოტანისა: რადგან მიიღება ცნო-  
ბა ოფიციალურად ანუ კერძო  
ხოლერის მზავსის ავად-მყოფო-  
ბის გამოჩენისა, ძლიერის კუჭის  
ან წილების კატარისა, ხოლუ-  
რისა, ხოლერინისა, მეცელასი  
ანუ ნაწყენარით ავად-განდომისა,  
მაშინვე ოფიციალურად უნდა გა-  
მოკვლეულ იქმნას ავადმყოფობის  
თვისება, მისი შენედელობა, ავად-  
მყოფების განავლის ბუნება და ის  
საგნები, რომელნიც ავადმყოფო-  
ბის დროს ხმარებულ იქმნენ, ან  
უნდა გაიწმინდოს დეზინფექციით,  
ან დაიწვენ; ამ ზომებს უერადდება  
მიქცეული უნდა ჰქონდეს იმ ად-  
გილებში, სადაც ბევრი ხალხი  
იკრიფება, მაგალითად: სამკურნა-  
ლო სახლებში, ციხეებში, ჭაბრი-  
კებში, ზავოდებში, სასტუმროებ-  
ში, ტრაქტირებში, სკოლებში,  
კაზარმებში, მუშათა-არტელების  
სადგურებში, რკინის გზის სტან-  
ციებში, ნავთ-საყუდლებში, დეკან-  
ბაზრებში; სამინისტროს უნდა  
შეტუბინებულ იქმნას, რამ გა-  
ვრცელა სამიზარი ხმა და ან რა  
აღმართინა შემოწმება.

დეპარტამენტი გარდაუწვეტე-  
ლის გარდასახადებისა (НЕОБЛАД-  
НЫХЪ СТОПОВЪ) ამტუნებს ცნო-  
ბას იმ გაზეთებისას, რომელთაც  
ხმა დაჰყარეს, ვითომც გაეწეროს

ში რედაქცია უხსნიდა მკითხველებს  
გაზეთის მნიშვნელობას, უხსნიდა, რომ  
სამხლვარ გარეთ ყოველ კუჩერსაც  
კი ჯობეში გაზეთი უდევსო, თითქო  
არცხვენდა ამით, თუ კი კუჩრები გა-  
ზეთებს კითხულობენ, თქვენ უფრო  
არ შეგფერითო; მაგრამ საზოგადოე-  
ბა ყრუდ დარჩა და გაზეთს არამც  
თუ კუჩრები, იმისთანებიც კი არა  
ჰკითხულობდენ, რომელთაც მოკლი-  
ლი დრო (და ეს მოკლილი დრო  
ხშირად მთელი დღე იყო) ჰქარები-  
სათვის ჰქონდათ გადადებული.

მხოლოდ ორიოდ თავ-გამომეტე-  
ბული ლიტერატორი შრომობდა მა-  
შინ რედაქციაში და თითქმის გაზე-  
თის ყოველი სტრიქონი რედაქცია-  
შივე იყო დაწერილი. არსაიღამ კო-  
რესპონდენტები, არსაიღამ ახალი  
ამბები, პოლიტიკის წყაროდ მხო-  
ლოდ გაზეთი «ქავკაზი» (ასე იყო  
ნამძახნები) და, რაც უფრო საგრძო-  
ბელი იყო, არსაიღამ ხელის-მოწერ-  
ლები! მადათვლიერეთ პირველი  
ნომრები «დროებისა» და თქვენ გა-  
ვაცვიფრებთ პოლიტიკის წათამამება;

3% აქციზის ჩინოვნიკების ჯამა-  
გირზედ ამ დეპარტამენტის კუწი-  
დელის დირექტორის პატივის სა-  
ცემლად.

გენერალურ შტაბის აკადემიაში  
მიიღებებიან დღეის იქით გვარდიის  
პორუჩიკები, განსაკუთრებულის  
იარაღის შტაბს-გაპიტანები და  
არმიის გაპიტანები, რომელთაც  
ჯარში სამს წელიწადზედ ნაკ-  
ლებ არ უმსახურნიათ.

ლონდონი. კიბერლიმ გამო-  
ცხადა საზოგადოებათა პალატა-  
ში—ავგანის ემირს იმიტომ მიე-  
ცა შემწეობა, რომ ჯარის შენახ-  
ვა შეეძლოს და თავის ქვეყნის  
დაცვაო. ემირთან პირობა არა  
შეგვიკრავს რა და არც ადებ-მი-  
ცემაზედ გვქონია მოლაპარაკე-  
ბაო.

ლიმპარპული. ოთხს ირღან-  
დიელს, რომელთაც აბრანებ-  
დენ დინამიტის მომზადებას  
აქაურ საზოგადო დაწესებულება-  
თა ასაფეთქებლად, სასამართლომ  
სამუდამო კატორგა გადაუწვიტა.

პარიში. ადმირალი პიერი, რომ-  
ელიც მადაგასკართან ჭრანცუ-  
ზების ესკადრას გამანდობდა,  
შინ დაითხოვეს ავადმყოფობის  
საბაბობით.

მაღრილი. გორამი 200 სალ-  
დათი აჯანყდა და მთებში გაიქ-  
ნენ; ლაგერში აჯანყებას ბოლო  
მოეღო; აჯანყებულები ზოგნი  
გაიქცნენ, ზოგნი დაატყვევეს.

მოხლავებულს პოლიტიკას უჭირავს  
მომეტებული ნაწილი გაზეთისა, და-  
ნარჩენს ადგილზედ მოთავსებულან  
ტელეგრაფები, მთავრობის განკარგუ-  
ლებანი და მხოლოდ ოაზისსავეთ აქა-  
იქა მოსახან ათასში ერთი კორეს-  
პონდენტები, მოწინავე წერილები და  
ტელეტონები. მკითხველი საზოგადოე-  
ბაც, თუ კი იყო სადმე, გულ-ცივად  
ეპყრობოდა გაზეთს: «რა «დროება»,  
რის «დროება», ქართული გაზეთი  
ვისთვის რა საჭიროა!» ჰქადაგებდა არა  
ერთი და ორი, ჰქადაგებდენ მრავალნი  
და ამ გულ-ცივობით გულს-უკლაფ-  
დენ იმათ, ეინც იტანდა ამ საზოგა-  
დო საქმისათვის შიმშილს, წყურვილს,  
უწყალო, განუწყვეტელ შრომას და  
თან ყოველს ამაზედ კიდევ უარესს,  
საზოგადოების გულ-გრილობას, უმა-  
ღურობას!

დროება გამოიკვალა და შეეცვა-  
ლა სახე «დროებასაც». პროვინციებ-  
ში გამოჩნდენ აქა-იქ ნიჭიერი ცხოე-  
რების დამკვირვებელი და თავიანთ  
ნაშრომით გაუნახვერეს წვალება რე-  
დაქტორსა და უმთავრეს თანამშრომ-

ქროსლორჩი. გრაფი შამბორი  
კიდევ ცუდად შეიქნა.

ლონდონი. სეტივაციოს სიკვდი-  
ლი, ამბობენ, ტყუილი გამოდ-  
გაო.

თბილისი, 30 ივლისს.

რუსეთში ერობას ბევრი მტერი  
ჰყავს, ზოგი ძველების ლაგერში,  
რომელნიც ყოველს ახალს დაწესე-  
ბულებას მტრულის თვალით უცქე-  
რიან, ზოგი ახლებისაში, რომელთაც  
წელი შრომა არ მოსწონთ, მოთმი-  
წებას ჰკარგვენ და სასარგებლოდ არა  
ცნობულობენ არაფერს, რაც კი  
ერთბაზად იმათს წადილოს არ შეას-  
რულებს. ამ მტრებს გარდა ბევრი  
გარემოება ხელს უშლის ერობას და  
არ აძლევს საშუალებას—სასარგებ-  
ლოდ იმოქმედოს; მაგრამ ეს დაწე-  
სებულება მაინც ამტკიცებს, რომ  
რაც უნდა ბევრი დამრკოლება ხედე-  
ბოდეს წინ, მაინც მას უფრო მეტი  
შეუძლიან ხალხის კეთილ-დღეობისა-  
თვის, ვიდრე რომელსამე ბიუროკრა-  
ტიულს დაწესებულებას. ამ პატარა  
წერილში სხვა-და-სხვა ჭაქტებს ვერ  
გამოუღებთ და ჩვენს აზრის და-  
სამტკიცებლად დავასახელებთ მხო-  
ლოდ ერთს, რომელიც რუსულ გა-  
ზეთს «Земский Обзор»-ში აქვს  
მოყვანილი ერთს რუსეთის პუბლი-  
ცისტს.

ძიებისა და პოლტავის გუბერნია  
ერთმანერთთან ახლო არიან, მაგრამ  
როგორც მდებარეობით, ისე შავით,  
ნაყოფიერებით, წარმოებით ძიების  
გუბერნია მაღლა სდგას პოლტავისა-

ლებს. მართალია, ბევრს კორესპონ-  
დენტსა შესწორება, წაშლა-წამოშ-  
ლა, როგორც ამბობდენ, გაშალაში-  
ნება ეჭირვებოდა, მაგრამ ამის სამა-  
გიეროდ გაზეთს უფრო ჩვენებური  
სახე მიეცა, პოლიტიკა თავის კალა-  
პოტში ჩაჯდა და გაზეთს გაზეთობა  
დაეტყო.

1869 წელს დროებით რედაქტო-  
რობა და მასუკან სრული რედაქტო-  
რობაც იკისრა 24-25 წლის კაცმა  
სერგეი მესხმა, რომელიც დიდი ხანი  
არ იყო, რაც პეტერბურლის უნი-  
ვერსიტეტში ბუნებისა და მათემატიკის  
კურს-გათავებული დამრწუნდა თავის  
სამშობლოში. ამ დღიდან ამ კაცის  
ცხოვრება მჭიდროდ შეკავშირებუ-  
ლია «დროებისა» ისტორიასთან და  
ეინც კი მოინდომებს მის ბიოგრაფიის  
დაწერას, უნდა ფეხ-და-ფეხ მიჰყვეს  
რედაქციიდან სტამბამდე, სტამბიდან  
იმ დაწესებულებამდე, რომელსაც გა-  
ზეთის მეთვალ-ყურობა აქვს ჩაბარე-  
ბული, ამ დაწესებულებიდან კიდევ  
რედაქციამდე და სხვ. სერგეი მესხის  
დროს ორჯერ დიდი ცვლილება მიე-

ზედ. ამას გარდა ძველი რუსეთის უწინდელი დედა-ქალაქია, მასშია უნივერსიტეტი და სასულიერო აკადემია, იგია ცენტრი სამხრეთ-რუსეთის გონების მოძრაობისა, ერთის სიტყვით ძველი გუბერნია იმისთანა პირობებშია, რომ ხალხის განათლება აქ საკმაოდ უნდა იყოს გავრცელებული; მაგრამ სხვათაგან ღირს პოლტავის გუბერნიას ერთი რამ ღირსება აქვს, რასაც ძველი გუბერნია მოკლებულია, ეს არის ერობა და აი ამ ერობის წყალობით ყოველისფრით დაზარალებულ პოლტავის გუბერნიას 1876 წელს 522 სახალხო სკოლა ჰქონდა გამართული და ყოველისფრით განვითარებულ ძველი გუბერნიას კი მარტო 112! პოლტავის გუბერნიას სწავლობდა 23,468 ბავშვი და ძველისაში 7.512. მასუკან, ხუთის წლის განმავლობაში, პოლტავის გუბერნიას დაარსდა 72 სკოლა და ძველისაში მხოლოდ 12!

მა ციხრები თვალ-ნათლივ ამტკიცებენ, როგორ ზრუნავს ერობა ხალხის განათლებისათვის და როგორ მოკლებულია ამ ზრუნვას ძველი აღმინისტრაცია, რომელიც სკოლების საქმეს განაგებს. მისაც კი ხალხის განათლება მიანია წარმატების ერთ-ერთ საშუალებად, ის ამ საქმეს უმძიმეს საბუთად ჩასთვლის ჯერ კიდევ ერობაზედ გაუთავებელს სჯაში.

ჩვენ მივიღეთ შემდეგ თანაგრძობის ტელეგრაფი ისაი სულთან შ.ხ. თახტინსკისაგან: «უზომოდ შემაწუხებ სერგეი მესხის უღროოდ სიკვდილმა; მე ვიყავ მოწამე მის განუწყვეტელის და უანგარო შრომისა».

რედაქციას მოუვიდა აგრეთვე სერგეი მესხის გარდაცვალების გამო თანაგრძობის ტელეგრაფი შარსილამ ბაგაევისა და თ. ხერხეულიძისაგან: **ბანსვენებულის სერგეი მესხის მეუღ-**

ცა გაზეთს: 1875 წელს კვირაში სამჯერ დაიწყო მისი გამოცემა და 1877 წელს არ შეუშინდა იმ ძნელად ასატან შრომას, რომელსაც გაზეთში ყოველ-დღე მუშაობა ჰქონდა, და «**ღროება**» ყოველ-დღიურ ფურცლად გადაქცია.

ყოველ-დღიური გაზეთი ძველი არ არის, სადაც რედაქცია ისეა მოწყობილი, რომ ყველას თავისი განყოფილება აქვს ჩაბარებული და რედაქტორი მხოლოდ ზედამხედველია გაზეთისა; უცხო ქვეყნების გაზეთებში და ზოგიერთ რუსულ გაზეთებშიაც შეიძლება წელიწადში ისე გაიაროს, რომ რედაქტორმა ერთი სტრიქონიც არ დაწეროს. იქ რედაქციებს იმდენი შეიძლება აქვთ, რომ რამდენიმე კაცი ყოველ დღე შრომობს რედაქციაში და გადაწყვეტილს ფასს იღებს. ჩვენში სულ სხვაა, და სულ სხვა იყო მეტადრე იმ დროს, როდესაც სერგეი მესხმა მოჰკიდა ხელი «**ღროებას**». აქ აღარ გავიმეორებთ მრავალჯერ ნათქვამს იმ შრომაზედ, რა შრომაც ჩვენში ყოველ-დღიურ გაზეთის

ღრუბლები აბას-თუმანში სხვათა შორის შემდეგი თანაგრძობის ტელეგრაფები:

«**ღროების**» რედაქციისაგან:

«**ღროების**» მთელი რედაქცია შეზარა მწუხარებამ ჩვენის დაუფიწყარის სერგეის გარდაცვალებისამ.

«**ძვეკაზის**» რედაქტორისაგან:

მა-ეს არის შევიტყე შემადრწუნებელი ამბავი ჩემის დაუფიწყარის მეგობრისა და ყოველის ქართველისათვის ძვირფასის სერგეის გარდაცვალებისა. სიტყვები უქმია გამოსატქმელად ესე მოულოდნელის და უღროვო დანაკლისისა. იყოს თქვენი ნუგეშის მცემელი ის აზრი, რომ ხსენება უღროვოდ მიცვალებულის თქვენის მეუღლისა, რომელმაც ასე ბევრი იღაწა დედა-ენისათვის, იქნება უკვდავი სამშობლო ქვეყანაში, ვიდრე ცოცხალ იქნება ერთი ქართველი მაინც! ამავე გრძობის ზიარნი არიან ყველა წყვრნი «**ძვეკაზის**» რედაქციისა, რომელთაც მთხოვეს გამოგიცხადოთ მათი თანამოზიარება ამ საერთო მწუხარებაში.

ქატერინე ზაბაშვილისაგან (სურამილამ): «მოზიარე ვარ შენის დიდის მწუხარებისა ძვირფასის კაცის მიცვალების გამო. არა თუ მარტო შენთვის, არამედ ყოველის გონიერის ქართველისათვის ფრიად სამწუხაროა მბ დანაკლისი».

მლისაბედ შახბევისაგან (ახალ-ცხინდამ): «დიდად შემაწუხებ ძვირფასის მოღვაწის—სერგეის გარდაცვალებამ. თქვენს მწუხარებას განიზიარებს მთელი საქართველო. შარამი თქვენი არის ჩვენი საზოგადო ვარამი».

ილია შავჭავჭავაძისაგან: (მცხეთილამ)

«გარდაცვით მეუღლეს, დებს და ძმებს განსვენებულისას ჩემი გულწრფელი თანამოზიარობა მათის მწუ-

რედაქტორს აწევს და ორიოდ სიტყვით გაუცნობთ მკითხველებს მხოლოდ იმ გარემოებას, რა გარემოების წყალობითაც სერგეი მესხმა შესძლო ამოდენა ხანს ამ სიმძიმე ტვირთის ზიდვა. სერგეი მესხს არა ჰქონდა შეძლება, არამცთუ ლიტერატურული შრომისათვის ფასი მიეცა ვისთვისმე, ან მუდმივი თანამშრომელი ჰყოლოდა,—გაზეთის შემოსავალი თითონ გაზეთსაც არა ჰყოფნიდა; წლითი წლობამდე გაზეთი ვალით გამოდიოდა და მომავლის წლის შემოსავლით უნდა დაეფარა წრეულს და შარშან აღებული ვალი. ამ გაზეთის შინაურულ საქმეს იმიტომ ვაცხადებთ, რომ მკითხველმა დაინახოს, რა ძნელის პირობებით იყო გარ-შემოზღულული სერგეი მესხი და როგორ შეუძლებელია, რომ ამ გარემოებაში მოქმედებს პირს არსად შეუფერებელი სიტყვა რამ არ წასცდნოდეს, უწესო რამ არ მოექმედოს.

სერგეი მესხს არა ჰყავდა არც ერთი მუდმივი თანამშრომელი, მაგრამ მას ჰქონდა ერთი ძვირფასი ღირსება,

ხარებისა. დიდად ვსწუხვარ პატიოსანის მოღვაწის და კეთილის ამხანაგის დაკარგვას; ვსწუხვარ, რომ პირადად დასწრებით ვერ შევიძელი დამემოწმებინა ჩემი პატივისცემა განსვენებულის სახელისა. ზვიან შევიტყე დასაფლავების დრო და ადგილი».

პეტრე შიკაშვილისაგან: (ივანე მესხის სახელობაზე) (თბილისილამ)

«გარდაცვით მთელს სახლობას ჩემი უღრმესი მწუხარება ჩვენის ძვირფასის სერგეის გარდაცვალების გამო. დიდად ვსწუხვარ, რომ თქვენთან ერთად ვერ შევიძელი განსვენებულის დატირება მის უღროვო საფლავთან, თბილისის გარეთ ყოფნის გამო».

ღვით მიქელაძისაგან: (სამტრედილამ) «გარდაცვით თქვენს სახლობას ჩემი განუსაზღვრელი მწუხარება ჩემის უკეთესის მეგობრისა და მამულის საუკეთესო შვილის სერგეის გარდაცვალების გამო. სრულმეტი ძალჩობს და ორ-ოვად უბედური ვარ, რომ მათი დაღერა არ შემიძლიან იმ კაცის საფლავზე, რომელიც მე სულითა და გულით მიყვარდა».

ამათ გარდა კიდევ ბევრია სხვა-და-სხვა კუნჭულებილამ მიღებული და უფრო ბევრი კიდევ თან-და-თან თითქმის ყოველ წამობით მოდის განსვენებულის მეუღლის და ძმების სახელობაზე. შევლა ტელეგრაფები პირუთვნელის სამძიმრებით არის საყვე-

**ახალი ამბები.**

მალაქში რაღაც უცარის აუღ-მყოფობის ხმა დადის; ამბობენ ოთხი გახლა უცრად აუღ და ერთი მათგანი კიდევ მოკვდა. ძველავ ამისთანა ხილის სიმრავლეში უცრად აუღ-გახდომას არავინ ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ ეხლა, რაკი

რომლითაც საუკეთესო თანამშრომლების გულს იზიდავდა: ის იყო კაცი თავიზიანი და თან პირში მთქმელი; უსიამოვნო ამბავს ისე თავიზიანად გეტყოდით, რომ წინააღმდეგობას ვეღარ აკადრებდით და თითქმის სიხარულით ემორჩილებოდით იმის სიტყვას. მა ღირსება იმ ადგილზედ, რა ადგილიც ეჭირა სერგეი მესხს, დიდი ღირსებაა და ამითი უნდა აიხსნებოდეს ის საერთო სიმპატია, რომელსაც ჩვენის ლიტერატურის მოღვაწენი გრძობდენ სერგეი მესხისადმი. ამით აიხსნება, რომ ყველა ჩვენის ლიტერატურის თვალ-საჩინო პირთ უშრომნიათ სერგეი მესხისთან და უსასყიდლოდ შეუწირავთ საზოგადოებისათვის თავიანთ კალმის ნაწარმოები.

ზარდა იმ საუკუნო მადლობისა, რომელიც ჩვენის გაზეთის დამარსებელს ეკუთვნის, სერგეი მესხის სახელს, მის სიმპატიურს ბუნებას უნდა ვუმაღლიდეთ, რომ დღეს «**ღროება**» მთელის საქართველოს გაზეთად გარდაიქცა; მას უნდა ვუმაღლიდეთ, რომ

სხვა ქვეყნებშილამ ცუდი ხმები იმის, ხალხს ეზინიან—ეს უცეცხრო აუღ-მყოფობა გადამდები არ ჩყოსო.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქალაქის თავის მოვალეობის აღმასრულებელი ბ. პაპოვი მიუწვევია თ. დანდუკოვ-ძორასკაცს და წინადადება მიუცია, რომ ქალაქის გამგეობამ სასტიკი ყურადღება მიაქციოს ჩვენის ქალაქის სისუფთავეზედ.

ზორის მაზრის უფროსს თავის მაზრის შემოვლის დროს ბევრს სოფელში შეუღდენებია სასოფლო ყრილობა იმ მაწენ პირების გადასასახლებლად, რომელთაც სოფელი ქურდებთ და ავაზაკებთ იცნობს. ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ბევრს ამ გვარად სოფლისაგან გამომეტებულს კაცს სიმბირში გადასახლებენ. სხვათა შორის ამ გადასახლებელთა შორის ორი კეთის-ხეველიც ყოფილა, მაგრამ გამოძიებას აღმოუჩნია, რომ ესენი სხვებსავით დამნაშავენი არ არიან და ეს სასტიკი სასჯელი თავილამ ასცდებათ.

ბუშინდელს №-ში, ტელეგრაფებში, შეგვეპარა ერთი კორექტურული შეცდომა. დაბეჭდილია: «**ზურგენივი ცუდათ შეიქმნა**», უნდა იყოს: «**ზურგენივი ცუდათ შეიქმნა**».

**«ღროების» კორესპონდენცია.**

ცუდათ რომ მაინც არ ჩივილის ეს განწირული სულის კვეთება, და გზა უვალი, შენგნით თელილი მოღვაწე ჩვენო მაინც დარჩება.

ღ. აბასთუმანი, 24 ივლისს, დაუწოდებლმა სიკვდილმა წაართვა ჩვენს ქართულს ლიტერატურას ერთი მედროშე. ვინ არ აცნობს ამ მედროშეს—სერგეი მესხს, რომელიც თითქმის წლის აუტანელმა შრომამ მიიყვანა სიკვდილის კარს...

ამ თითქმის ხელოვნურს ნიადგზედ აღმოცენებულმა მცენარემ ღრმად ფესვები გაიდგა და მრავალს ქართველს კაცს დღიურ საქროებად შეექმნა. სერგეი მესხმა მოიზიდა მრავალი უსასყიდლოდ მშრომელი პატიოსანი პირი, რომელთ დამხარებითაც დღეს ჩვენს გაზეთს შეუძლიან რედაქციის კაბინეტილამ ოთხსაუკუთხეს თვალი ეჭიროს და მთელს საქართველოს თავზედ დასცქეროდეს. სერგეი მესხის საქმეა, რომ დღეს ვერაფერ ვეღარ იტყვის; «**რა ღროება**», რის «**ღროება**», ქართულ გაზეთს რა მნიშვნელობა აქვსო!» და თუ იტყვის, პირველი თითონვე იგრძობს თავის სიტყვების უქმნობას და უმნიშვნელობას.

საჯოს თითონ მკითხველმა, რა უზომო მადლობაც ეკუთვნის მთელის ქართველობისაგან ამ უანგარო მუშას «**ეკლანს გზაზედ სოფლისა**», მისთვის უფრო გაეკლიანებულზედ!

ამ სახელსა დასახელებს უნებურად შინაგანად თავი; მიანდო თავისი საყვარელი დროსი სხვას და ქვეყნის რჩევით გადმოვიდა ახასთუმანში ჯანმრთელობის აღსადგენად... ამ თვის 21-ს, როგორც ელვა, მოიფინა ახასთუმანში — სურვილი მისისი სიკვდილის. ამხვამ, შეიქმნა საერთო მწუხარება მთელს ქართველობაში; ვისაც რა გამოუვიდა და სულიდგან განსვენებულს. პატრიარქსმად არაფერს ზოგავდა. მეტადვე თავი განწირული წდილობდა ახსენის მასწრის უფროსი, პატრიარქული აღქმის — მესხეთი. სანამ გასტუმრებდა განსვენებულს, მოსვენება არ ქონია და სმარბდა უფელ დონის-ძიებას, რომ დიხსუფად პატრიარქს განსვენებულს სასულისათვის.

22-ს, საათის 6-ზე, იყო პანაშვიდი სურვილი მისისი ანა მდიდარ სადგურში. ქართველები ბუკნი დაესწრნენ. თავადმა სიმშიაშვილმა.

მიართვა შესაფერა გვირგვინი. 23 ს განსვენებული ჩასვენეს ტყვიას გუბიაში, რომელიც ჩადგმული იყო სხვა შავი ხის გუბიაში; გუბია შეამკეს სასლშივე გვირგვინებით.

საკვლეპიო წესის აღსრულების შემდეგ გუბია გამოსვენეს გარეთ, სადაც უცდიდა ექვსი გვირგვინი, მუსიკა და მრავალი ხალხი; ეს გვირგვინები იყო მორთმული სხვა-და-სხვა პირებისგან. მუსიკამ დაურა სამგლოთარო ხმა; ხალხი დაიძრა იმ გზაზე, რომელიც ორ კერსამდე მოფინილი იყო მწუხარ ხის შტოებითა. ხალხი მრავალი დაესწრა; იყვნენ სომხებიც. ყველას სახეზედ მწუხარება ისტებოდა.

გზაზედ დასვენეს მცხადარი და მღვდელმა ტერ-სტუფანოვმა წარმოსთქვა ჩინებული მჭარმეტყველური და გრძობითი სახე სიტყვა. ამ სიტყვამდე ბუკნი ჩამოყრების ცრემლები. ტერ-სტუფანოვმა ცხადად და ცრცხლად გამოგვიხატა — თუკინ და რა იყო სურვილი მისი ქართველობისათვის. სიტყვას შემდეგ ყველამ გულითადა მადლობა გამოუცხადეს მას.

უგანასვენელ გამოსაღების დროს სთქვეს სიტყვები: — ბ. კალოუნელმა და ზაურელმა, ცხადარი დასვენეს ქატიონზედ და წაიღეს ზეკარისკენ. ქატიონებით და ცხენებით ბუკნი ხალხი გაჭყა. გზაზედ ორგან დაუნდნენ ამქარელი ყარაულები, მიართვეს ცრცხალი უკავილის გვირგვინები და წარმოსთქვეს თავანთი სიტყვები.

ასე — სამუდამოდ გაკისტუმრეთ ჩვენი დაუვიწყარი მშრომელი. გასტუმრებთ თქვენც, მისნო მოძმენი იმერსა, და ხახვით, რომ სიკვდილის შემდეგ მან არაფერი დასტოვა კეთილის სხენების მეტი; გვირგვინ გვირგვინის. და ეს სიმდიდრე, ეს შენობა, ეს მამული სურვილი მისისი სახლ.

მაგრამ ჰოი გვირგვინი, ნუ შეშფოთდებით, თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით: რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაანდების, საშვილის-შვილით გარდაიცვინის.

\*\*\*

«მამკაზის» სამამბად.

ჩვენი გაზეთისათვის ყურ-მოყრუებული «მამკაზი» ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან ყურ-მანვილი გამოდგა,

ისე ყურ-მანვილი, რომ ზოგი უბრალო ამბებიც კი ორჯერ ესმის და თავის მკითხველების ჭკუის სასწავლებლად ორჯერ ჰბეჭდავს. მოიხსენეთ, საქმე როგორ არის:

თბილისში ყოველ-დღე მოდის ტელეგრაფები ჩრდილოეთის სააგენტოსი, რომელსაც მეორე დღეს აქაურ გაზეთებში ჰკითხულობთ, სხვათა შორის «მამკაზშიაც». მსვე ტელეგრაფები უფრო ვრცლად, ზოგიერთები სიტყვა-სიტყვით, რუსულს გაზეთებშიაც იბეჭდებო. მოვა თუ არა რუსული გაზეთები თბილისში, გაილესება ხოლმე მაკრატელი «მამკაზის» რედაქციაში, ამოიჭრება ეს ტელეგრაფები და მოექცევა «მამკაზის» ერთად-ერთს პოლიტიკურს განყოფილებაში, რომელსაც ჰქვია «გაზეთების ტელეგრაფები», ასე რომ «მამკაზის» მკითხველები სიამოვნებენ იმავე ამბების წაკითხვით, რომელიც მათ ხუთი-ექვსის დღის წინად წაუკითხავთ.

იქნება, არ დაიჯიროთ? არც მე მოგთხოვთ, ლიტონს სიტყვაზედ მენდეთ-მეთქი, მაგრამ აი საბუთებიც:

«მამკაზის» 151 №-ში, ტელეგრაფი მაშინ სწერია:

«Въ Гезѣ, предмѣстнн Капра, умерло отъ холеры пять человѣкъ; предмѣстны оцѣвлено кордовомъ.»

იმავე «მამკაზის» 155 №-ში (განყოფილებაში: телеграммы газетъ):

«Въ пригородѣ Капра, Гизехѣ, было пять случаевъ холеры, вслѣдствіе чего Гизехѣ оцѣвлено санитарнымъ бордономъ.»

160 №-ში (ტელეგრაფებში):

«Императоръ Вилгельмъ принималъ австрійскаго министра Кальноки и пожаловалъ ему орденъ Чернаго Орла.»

164 №-ში («გაზეთების ტელეგრაფებში»):

«Императоръ Вилгельмъ принималъ вчера графа Кальноки и пригласилъ его къ столу. Послѣ обѣда императоръ пожаловалъ Кальноки знакъ ордена Чернаго Орла.» (სადილზედ, ღვთის წინაშე, აქაურ ცეფერამებში არა იყო-რა).

161 №-ში (ტელეგრაფებში):

Нижній Новгородъ. Сегодня послѣ молебствія, подняты торговые флаги. Парижъ. Палата ассигновала 50,000 франковъ на отправку въ Египетъ санитарной комисіи.»

165 №-ში («გაზეთების ტელეგრაფებში»):

«Нижній Новгородъ. Сегодня подняты ярмарочные флаги съ обычно торжественностью... Парижъ. Палата разрѣшила кредитъ въ 50,000 франковъ на посылку санитарной комисіи въ Египетъ.»

მაქვთ კიდევ, რომ ხოლორავზედ ამბების გამეორება მკითხველების გასაფრთხილებლად, ურიგო არ არის, — ეს ძალნაკისათვის ორდენის მიცემა, ან «მაკარის იარაღებზედ» ფლაგების ამეება ვისთვის რა საჭიროა, რომ «მამკაზს» ორჯერ ჩაუბეჭდია? დალოცვილს რედაქციას, თუ კი თავის გაზეთშივე დაბეჭდილის გადაბეჭდვა უნდა, ის არა სჯობს ძალნაკისა და შაჰების ორდენებს თავი დაანებოს და ყოველ-დღე ბეჭდოს იმ ორდენების სია, რომელთაც ჩვენი ჩინოვნიკები მიიღებენ ხოლმე; ამით

თავის მკითხველებს გულს მანც მოიგებს; თორემ სად ძალნაკი, სად შაჰე და სად ჩვენი «სტოლ-ნაილ-ნიკები»!

ხუმრობა იქით იყოს და ეს ამტკიცებს, რომ «მამკაზის» რედაქციას ან ძალიან ცუდი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თავის მკითხველების მენსიერებისა, ან თითონ უნდა ავადმყოფობდეს იმ ახლად აღმოჩენილის ავადმყოფობით, რომელსაც მეცნიერებმა მენსიერების ავადმყოფობა დაარქვეს.

რუსეთი

— მარაშვის ახალ გენერალ-გუბერნატორს გენერალი - ადიუტანტს გურკოლს მარაშვაში მისვლის უმაღლეს სიტყვა უთქვამს იქაურ გენერლებსა და აფიცრებისათვის: «რუსეთი, უთქვამს მას სხვათა შორის, ამჟამად ვისლამდე გადაქმულია და ისე დიდია, რომ ახლის ქვეყნების შემატება აღარ ეჭირება; მაგრამ იმ მიწილამ, რომელიც მას ეკუთვნის, ერთს მტკაველსაც არაფის დაუთმობს. ჩვენ მეზობლად კარგად განწყობილი და მეომარი ხალხი გვყავს და თუ პოლიტიკა ისე მოტრიალდება, რომ დიდს რუსეთის სახელმწიფოს ერთობას რაიმე შიში ექნება, — მე ამით ის არ მინდა ვთქვა, მითამ ამისთანა ამბავს მოველოდე — მაშინ ჩვენ მზათა ვართ, ჩვენი სისხლი დაეღვაროთ და სიცოცხლე შევიწიროთ რუსეთის ხელუხლებლობისათვის; ჩვენ უნდა ჩვენი ძეღვებით დაეფაროთ ჩვენი ქვეყანა, ვიდრე მის მცირედსაც ამის ნაწილს სხვას დაეუთმობდეთ. ჩვენ იმისთანა ქვეყანაში ვართ, რომლის პატივისცემაც ჩვენ უნდა შევიძინოთ და შევიძინოთ კიდევ, თუ, კეთილ - სინიღისიერად ავასრულებთ ჩვენს სამხედრო მოვალეობას, ზდილობით მოექცევით და ყოველთვის პატიოსნები ვიქნებით, როგორც ჩვენს კერძო ცხოვრებაში, ჩვენს შორის, ისე ამ ქვეყნის მცხოვრებლებთან. მს ჩემი უგულითადესი სურვილია და სასტიკი ყურადღება მექნება, რომ ეს სურვილი სახეში მიღებული იყოს.»

მენერალ - გუბერნატორს რომ მარაშველი პროფესორები წარუდგინეს, ეთქვა:

ახალგაზღობის გაწერონაში პედაგოგიურ საშუალებებს გარდა სხვას ნუწრას იხმართ და კეთილის ქვეშევრდომობის გრძობა ჩაუწერავთ. ამის მეტს მთავრობა თქვენგან არაფერს ითხოვს.»

— რუსის გამოჩენილი პროფესორი ვაგნერი ერთს თავის წერილში სწერს შემდეგს შესახებ უნივერსიტეტებისა: «აწინ დელს დროს ახლანდელი უნივერსიტეტი, როგორც რუსეთში, აგრეთვე ყველგან ევროპაშიც, წარმოგვიდგენს ოთხის ერთმანეთთან შეკავშირებულის სპეციალურ სკოლის შეერთებას ერთს შენობაში. იქილამ გამოდიან: იურისტები, ფილოლოგები,

ბუნების მეციებელნი. მატემატიკოსები და ექიმები — ერთის სიტყვით — ოგი ზრდის სპეციალისტებს და ახალ-კაცებს უნივერსალურის, საზოგადო კაცობრიულის განათლებით. იგი არ აკმაყოფილებს თვით უსაჭიროეს კაცის განების მოთხოვნილებას.»

«უნივერსიტეტის ყმაწვილ-კაცობა ყოველთვის სიამოვნებით ისმენს ფილოსოფიის, ენციკლოპედიის, კანონთმცოდინარობის, პოლიტიკურ ეკონომიას, პსიხოლოგიას და სხ. კურსებს; აუდიტორიები საესეა ყოველთვის ამ ყმაწვილ კაცებით მაშინ, როდესაც საზოგადო მიმოხილვაზეა ლაპარაკი. იგი ყოველთვის ეძიებს აზრსა და მასალას თავის საზოგადო შეხედულობისათვის, ერთის სიტყვით იგი ეძიებს საზოგადო, უნივერსალურს ფილოსოფიურს განათლებას და ამ განათლებას არ აძლევს მას უნივერსიტეტი. მან თვითონ უნდა გამოსჩხრიკოს იგი ზოგი უნივერსიტეტის ლექციებლამ, ზოგიც გარეშე, ხხვა-და-სხვა წიგნებილამ და ყურნალურის წერილებილამ.»

«ამ დასკვნამდის მე ერთბაშად და თეორიულად არ მიგსულვარ. იგი შევიძუშავე ჩემის ოც-და-ათის წლის უნივერსიტეტში შრომის დროს და შემოძლიან კიდევ მოვიყვანო აქ ამის მრავალი დასამტკიცებელი საბუთები, მაგრამ საჭიროდ არ ვხედავ.»

შემდეგ სწერს ვაგნერი, რომ ჩვენს განათლებაში პირველი ადგილი ემპირიზმსა და რუტინას უჭირავსო და განსაკუთრებით გემნაზიებში მისის საქმე ცუდათაო. ვაგნერი განაგრძობს: «პირველად, უნდა მიემართოს უნივერსიტეტის კურსს უკანასკნელი მერვე წელიწადი გემნაზიის კურსისა — ის წელიწადი, რომელსაც სრულებით არაფითარი მნიშვნელობა არა აქვს; მეორედ, უნივერსიტეტის კურსის დრო უნდა შემცირდეს ორ წლიამდის. ნამდვილი უნივერსიტეტის განათლება უნდა განცალკევდეს ერთის მხრივ გემნაზიურის და მეორეს მხრივ სპეციალურის განათლებილამ. შემეტესი ნაწილი, ესრედ წოდებულ, ჭაკულტეტების საგნებისა, უნდა გადატანილ იქმნენ სპეციალურს კურსებში, რომელნიც დაიჭერენ მათს ნამდვილს ადგილს, ე.ი. შეიქმნებიან ისეთ სპეციალურ სკოლებად, როგორებიც არის, მაგ., კანონთმცოდინარობის სკოლა, ისტორიული-ფოლოლოგიური, ლაზარეის და ტენონოლოგიური ინსტიტუტები. ნამდვილი უნივერსიტეტის კურსი თავისუფალი უნდა იქმნას იმ მასალილამ, რომელიც იმას არ ეკუთვნის და რომელიც მას ავიწროებს; უნივერსიტეტის განათლება, უწინარეს ყოველისა, უნდა იყოს ჰუმანიური, საზოგადო კაცობრიული, უნივერსალური, ენციკლოპედიური. მასში უნდა საფუძველსავეთ იყოს ფილოსოფიის ისტორია, ანტროპოლოგია, პსიხოლოგია, ასტროფიზიკის საზოგადო კურსი, გეოლოგია და პალიონტოლოგია, საზოგადო ფიზიოლოგია და მცენარეთა მორფოლოგია, საზოგადო ზოოლოგია და ემბრიოლოგია, მოკ-

